N გ-20-04/2932
16/09/2020

2932-გ-20-04-2-202009161333

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის
თავმჯდომარეს ქალბატონ თამარ ჟვანიას

ქალბატონო თამარ,

თქვენი 2020 წლის 14 სექტემბრის წერილის (კომისიაში რეგისტრაციის N შ-20-6/4752) პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს წერილში წარმოდგენილი ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხედვა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ (შემდგომში - საარჩევნო კოდექსი) შესაბამისი მუხლების ნორმატიული შინაარსის მიმართ, თანხვედრაშია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ხედვასთან.

დამატებით ვითვალისწინებთ რა იმასაც, რომ საარჩევნო კოდექსის 50-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის განთავსება ხდება კენჭისყრის დღემდე **50-ე დღიდან**, მაქსიმალურად თანაბარი წინასაარჩევნო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ თქვენს წერილში აღნიშნულ მოცემულობაში შესაბამისი წესით რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტის წინასაარჩევნო/პოლიტიკური რეკლამა სამაუწყებლო ეთერში განთავსდეს საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომრის მითითების გარეშეც, თუმცა ამ შემთხვევაშიც კი დაცული უნდა იყოს საარჩევნო კოდექსის 185-ე მუხლის მე-20 პუნქტით დადგენილი მოთხოვნები საარჩევნო სუბიექტის სახელწოდების აღმნიშვნელი ასოების ერთიანი კონტურების მიმართ.

პატივისცემით,

კახი ბექაური

თავმჯდომარე
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

1109-01-04-2-202009141036

N 01-04/1109
14/09/2020

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის

თავმჯდომარეს კახი ბექაურს

ბატონო კახი,

გაცნობებთ, რომ საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილე გარკვეული საარჩევნო სუბიექტებისთვის რიგითი ნომრები წილისყრით განისაზღვრება. წილისყრის პროცედურა ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) სხდომაზე ჩატარდება, რომელზეც ცესკოში რეგისტრირებული ყველა სუბიექტის რიგითი ნომერი ერთიანად განისაზღვრება. წილისყრა კი ეხება იმ პარტიებს, რომლებსაც საარჩევნო კანონმდებლობით უფლება არ აქვთ გამოიყენონ წინა არჩევნებზე მინიჭებული რიგითი ნომერი.

საარჩევნო სუბიექტს რიგითი ნომერი მიენიჭება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" (შემდგომში - საარჩევნო კოდექსი) 201-ე და 38[1]-ე მუხლებით დადგენილი წესით. საარჩევნო კოდექსი საარჩევნო ბლოკების შემთხვევაშიც განსაზღვრავს წინა საერთო არჩევნებზე გამოყენებული რიგითი ნომრების გამოყენების წესს. საარჩევნო ბლოკებისთვის რეგისტრაციის მიზნით ცესკოსთვის მომართვის ბოლო ვადა 18 სექტემბერია, ხოლო რეგისტრაციის ბოლო ვადა 24 სექტემბერია. შესაბამისად, მხოლოდ აღნიშნული საკანონმდებლო ვადების გათვალისწინებით, ცესკოს ექნება წილისყრის პროცედურის ჩატარებისა და საარჩევნო სუბიექტებისთვის რიგითი ნომრების მინიჭების შესაძლებლობა. საარჩევნო კოდექსის მიხედვით (მუხლი 38[1]) საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი განისაზღვრება არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა - მიმდინარე წლის 1 ოქტომბერი.

აღსანიშნავია, რომ საარჩევნო სუბიექტებისთვის თანაბარი საარჩევნო გარემოს ხელშეწყობის მიზნით, ცესკო წლებია, კანონმდებლობით დადგენილ ბოლო ვადაზე მაქსიმალურად ადრე ატარებს წილისყრის პროცედურას. შესაბამისად, მიმდინარე არჩევნებისთვისაც, ცესკო გეგმავს რიგითი ნომრების განსაზღვრას კანონმდებლობით შესაძლებელ უადრეს ვადაში.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საარჩევნო კოდექსის 185-ე მუხლის მე-20 პუნქტის თანახმად, პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის მიმდინარეობისას საარჩევნო სუბიექტის სახელწოდების აღმნიშვნელი ასოების ერთიანი კონტურებისა და მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომრის აღმნიშვნელი ციფრების ერთიანი კონტურების ჯამი უნდა იკავებდეს კადრის ფართობის არანაკლებ 5%-ს. ამასთანავე, რეკლამა ისე უნდა იყოს დამზადებული, რომ მისი დასრულებისას, არანაკლებ ბოლო 1

დავით აღმაშენებლის ხეივანი, N 138, 0131, თბილისი, საქართველო

www.cesko.ge

(995 32) 2 510051

Ш-20-6/4752
14.09.2020
2- ფურცელი

წამის განმავლობაში, ნაჩვენები იყოს საარჩევნო სუბიექტის სახელწოდება და რიგითი ნომერი, იმგვარად, რომ სახელწოდების აღმნიშვნელი ასოების ერთიანი კონტურებისა და რიგითი ნომრის აღმნიშვნელი ციფრების ერთიანი კონტურების ჯამი იკავებდეს კადრის ფართობის არანაკლებ 25%-ს. ამ პუნქტით დადგენილი წესის დარღვევის შემთხვევაში, მაუწყებელი არ განათავსებს შესაბამის პოლიტიკურ/წინასაარჩევნო რეკლამას.

თავის მხრივ, ,,მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ჰ[14] პუნქტის თანახმად, წინასაარჩევნო რეკლამა არის რეკლამა, რომლის მიზანია საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს და მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირის – მერის არჩევის ხელშეწყობა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ წინასაარჩევნო რეკლამის მთავარი მიზანი არის კონკრეტული საარჩევნო სუბიექტის არჩევის ხელშეწყობა.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ ზემოაღნიშნული გარემოებები და ხელი შეუწყოთ მაუწყებლების მიერ საარჩევნო სუბიექტების შესაბამისი პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების პროცესს, რიგითი ნომრის შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებამდე.

პატივისცემით,

თამარ ჟვანია

კომისიის თავმჯდომარე

.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია * 203851509 *